



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კლაპიტონიშვილი პეტრე ალექსანდრეს ძე

კლაპიტონიშვილი პეტრე ალექსანდრეს ძე (1800, სტამბოლი, – გ. წ. უცნობია), პირველი ქართველი ექიმი, რ-მაც რუსეთში მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება; ერეკლე II-ის კარის ექიმის შვილი.

1822 დაამთავრა პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგ. აკადემია და მუშაობა დაიწყო კარის ექიმად იმუჟამად რუსეთში მყოფ დედოფალ მარიამთან. 1828-იდან ელიზავეტპოლის (ახლანდ. განჯა), 1832-იდან კი გორის მაზრის ექიმი იყო; 1836–43 მუშაობდა ბაქოსა და ნუხაში.

კ-ს დიდი წვლილი მიუძღვის ქართ. სამედიცინო ლიტ-რის განვითარებაში; პეტერბურგში ქართ. ენაზე 3 ნაწილად გამოსცა სამედიცინო დარიგებანი, რ-იც შემდეგ რუს. ენაზეც დაიბეჭდა; შეადგინა და მოსკოვში ქართ. ენაზე გამოსცა მოკლე კარაბადინი; მასვე ეკუთვნის ვრცელი ანგარიშები ინფექციურ სნეულებათა (შავი ჭირი, ქოლერა და სხვ.) ეტიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის, კლინიკის, პრევენციისა და მკურნალობის შესახებ.

*თხზ.*: მოკლე კარაბადინი დარიგებისა თჲს ერისა, მისთვის თუ ვითარი ღონის ძიება იხმარონ ჟამსა დაშხამვისა და კბენისასა ყოველთა რიგთა შხამიანთა და ცოფიანთა ცხოველთაგან, მ., 1826; მოკლე კარაბადინი დარიგებისა თჲს ერისა, მისთვის რაგვარის ღონის ძიებითაც უნდა ეცადნენ და მოაბრუნონ მდინარიდამ გამოღებულნი კაცი, მ., 1826.

**მ. შენგელია**

---